საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №69
2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 29-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებულ „ქსელის წესებში“ (სსმ, ვებგვერდი, 22/04/2014, სარეგისტრაციო კოდი: 300280020.16.009.016085) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №10, №11 და №12 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №10

ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების პირველი ეტაპის ვადა და საფასური

ძაბვის საფეხური, კვ	მიერთების უზრუნველყოფის პირველი ეტაპის პერიოდი-ვადა (სამუშაო დღე)	მიერთების უზრუნველყოფის პირველი ეტაპის ვადაში გადაცემის ლიცენზიატის მიერ განაცხადის განხილვის ვადა (სამუშაო დღე)	მიერთების უზრუნველყოფის პირველი ეტაპის ვადაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ განაცხადის განხილვის ვადა (სამუშაო დღე)	მიერთების პირველი ეტაპის საფასური, ლარი (დღგ-ის ჩათვლით)
6-10 და 35	35	15	15	3000
110	45	15	25	3000
220 და ზევით	65	15	45	4000

დანართი №11

ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების მეორე ეტაპის ვადა და საფასური გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში უჯრედის მოწყობის შემთხვევაში

ძაბვის საფეხური, კვ	მიერთების უზრუნველყოფის მეორე ეტაპის პერიოდი - ვადა	მიერთების მეორე ეტაპის საფასური, ლარი (დღგ-ის ჩათვლით)

6-10 კვ	მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში	60,000
35 კვ ღია გამანაწილებელზე მიერთებისას		218,000
35 კვ დახურულ გამანაწილებელზე მიერთებისას		300,000
110 კვ		820,000
220 კვ		1,410,000

დანართი №12

ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების მეორე ეტაპის ვადა და საფასური გადაცემის ლიცენზიატის გადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში

ძაბვის საფეხური,	მიერთების უზრუნველყოფის მეორე ეტაპის პერიოდი - ვადა	მიერთების საფასური 1 კმ საჰაერო ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზისთვის (ლარი დღგ-ის ჩათვლით)	მიერთების საფასური 1 კმ საჰაერო ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზისთვის (ლარი დღგ-ის ჩათვლით)	მიერთების საფასური 1 კმ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზისთვის (ლარი დღგ-ის ჩათვლით)	მიერთების საფასური 1 კმ საკაბელო ორჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზისთვის (ლარი დღგ-ის ჩათვლით)
35 კვ	მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში	220,000	321,000	315,000	600,000
110 კვ		430,000	620,000	-	-
220 კვ		515,000	800,000	-	-

* **შენიშვნა:** გადაცემის ლიცენზიატის გადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების მეორე ეტაპის საფასური შედგება დანართში №12 არსებული შესაბამისი ძაბვისა და სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზისა და დანართში №11 არსებული საფასურის ჯამისგან.

“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**